

# კითხვის სირთულის პედაგოგიური შეფასების მაჩვენებლების კვლევა დისლექსიის მქონე 6-11 წლის მოსწავლეებში

მაია შაშვიაშვილი, მანანა მელიქიშვილი, ზაქარია ქიტიაშვილი<sup>1</sup>

## აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა განპირობებული იყო იმდენად, რამდენადაც ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არ არსებობდა კითხვის სირთულის (დისლექსიის) შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმა, რომელიც ამ პრობლემის ადრეული იდენტიფიცირების საშუალებას მოგვცემდა. კვლევის ფარგლებში გავეცანით სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში გამოყენებულ დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის 11 ფორმას (ჩეკლისტს). ისინი განკუთვნილია პედაგოგებისთვის, მშობლებისთვის, სკოლის ფსიქოლოგებისა და მოსწავლეებისთვის და კითხვის სირთულის აღმოჩენას ემსახურება. ვინაიდან ჩვენი მიზანი პედაგოგებისთვის კითხვის სირთულის (დისლექსიის) შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმის შედგენა იყო, შევარჩიეთ შესაბამისი – მასწავლებლებისთვის განკუთვნილი კითხვები და მათი ანალიზის საფუძველზე შევიმუშავეთ შეფასების ინსტრუმენტი.

კვლევა ჩატარდა თბილისის 173-ე საჯარო სკოლაში, „საერთაშორისო აკადემია ლოგოსა“ და „თბილისის თავისუფალ სკოლაში“. ასევე, „სპეცმასწავლებლის ასოციაციის“ მხარდაჭერით კითხვის სირთულის (დისლექსიის) შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმა შეავსეს თბილისისა და რეგიონების სკოლებში დასაქმებულმა სპეცმასწავლებლებმა. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სკოლის პედაგოგებმაც, სოციალური ქსელის საშუალებით. ასევე, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 305 მოსწავლემ, რომელთაგან 98 არის დისლექსიის მქონე. მონაცემთა დამუშავება განხორციელდა SPSS 23 სტატისტიკური პროგრამის მეშვეობით. ამის საფუძველზე დადასტურდა, რომ ჩვენ მიერ 49 კითხვისაგან შემდგარი დისლექსიის (კითხვის სირთულის) შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმის (ჩეკლისტის) გამოყენებით შესაძლებელია 6-11 წლის (პირველიდან მეხუთე კლასის ჩათვლით) დისლექსიის/კითხვის შეფერხების მქონე მოსწავლის იდენტიფიცირება.

**საკვანძო სიტყვები:** კითხვა, კითხვის კომპონენტები, დისლექსია, დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმა (ჩეკლისტი)

## შესავალი

კითხვის სირთულები უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე შეიძლება წარმოვიდგინოთ. (Nelson, 2016). კითხვის დარღვევის ადრეულ ეტაპზე ამოცნობა კი აუცილებელია, რომ ეს შეფერხება მინიმუმამდე იქნას დაყვანილი (IDA, 2012). მოსწავლეებს, რომლებიც არ სწავლობენ კითხვას ადეკვატურად, მათი საჭიროების შესაბამისად, უფრო მეტად აქვთ ზოგადი აკადემიური სირთულები და ისინი სკოლის მიტოვების მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან (Alliance for Excellent Education, 2002). ცუდი კითხვა

<sup>1</sup> მაია შაშვიაშვილი – განათლების მეცნიერებების დოქტორი, თსუ.  
მანანა მელიქიშვილი – ფსიქოლოგიის დოქტორი, თსუ.  
ზაქარია ქიტიაშვილი – განათლების მეცნიერებების დოქტორი, თსუ.

დადებით კორელაციაშია დანაშაულთან (Center on Crime. 1997) და თვითმკვლელობასთან (Daniel et al.2006). მოსწავლეების უმრავლესობაში, რომლებიც დაწყებით კლასებში სწავლობენ ტიპური ინსტრუქციით და არ სწავლობენ კითხვას ადეკვატურად, მათი საჭიროებისამებრ, კითხვის უნარის დაქვეითება რჩება პრობლემად (Shaywitz, & Fletcher, 1996; Juel, 1988; Torgesen & Burgess, 1998). დისლექსიის საერთაშორისო ასოციაციის მონაცემების მიხედვით, დასწავლის სპეციფიკური დარღვევა მოსწავლეთა 6-7%-შია დიაგნოსტირებული (IDA, 2012). აქედან 85%-ს სირთულე კონკრეტულად კითხვასა და წაკითხულის გააზრება-დამუშავებაში აღენიშნება, თუმცა, შესაძლოა, დისლექსიის მქონე მოსწავლე დიაგნოსტირების გარეშე გადადიოდეს კლასიდან კლასში, კონკრეტული შეფასების და ინტერვენციის გარეშე.

იქიდან გამომდინარე, რომ კითხვის უნარი საჭიროა ნებისმიერი სახის ინფორმაციის ასათვისებლად, ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად და წარმოსახვის გასაუმჯობესებლად, ნათელია, თუ როგორ აფერხებს დისლექსია ბავშვების განათლებისა და განვითარების პროცესს.

## კითხვა

თავდაპირველად გავცნოთ კითხვას, როგორც პროცესს. კითხვა რთული ფსიქო-ფიზიოლოგიური პროცესია. კითხვის აქტში მონაწილეობს მხედველობითი, მეტყველებით-მამოძრავებელი და მეტყველებით-სმენითი ანალიზატორები. კითხვა წარმოადგენს შედარებით გვიანდელ და რთულ წარმონაქმნს, ვიდრე ზეპირი მეტყველება. კითხვა იწყება ასოების მხედველობითი აღქმით, გარჩევით და ცნობით, ამის საფუძველზე ხდება ასოების შეთანხმება შესაბამის ხმებთან (ბგერებთან) და ხორციელდება სიტყვის ბგერათწარმოქმნითი ხატის აღქმა, ანუ მისი წაკითხვა. ბოლოს კი წაკითხულის გაგება სიტყვის ბგერითი ფორმის მის შინაარსთან დაკავშირებით ხერხდება. კითხვის პროცესში პირობითად უნდა გამოვყოთ ორი მხარე: ტექნიკური – ეს არის დაწერილი სიტყვის მხედველობითი ხატის დაკავშირება მის წარმოთქმასთან და მეორე – არსობრივი, სიტყვის ბგერით ფორმასთან მისი მნიშვნელობის დაკავშირება. ამ ორ მხარეს შორის არის უწყვეტი და მჭიდრო კავშირი. ზრდასრული ადამიანის კითხვის პროცესში ცნობიერდება მხოლოდ წაკითხულის შინაარსი, ხოლო ის ფსიქოფიზიოლოგიური ოპერაცია, რომელიც ამას წინ უსწრებს, ხორციელდება გაუცნობიერებლად, თავისთავად, ავტომატურად (Learner, 1997).

კითხვის პროცესი 4 სტადიისგან შედგება:

*ასო-ბგერითი აღნიშვნის დაუფლების სტადია (წინამარცვლოვანი სტადია);*

ასო-ბგერითი აღნიშვნის დაუფლება ხდება წინა ანბანურ და ანბანურ პერიოდებში. მოცემულ სტადიაზე ბავშვები ანალიზებენ სიტყვების ნაკადს და სიტყვებს ჰყოფენ ბგერებად და მარცვლებად. გამოყოფენ რა ბგერას მეტყველებიდან, ბავშვები უსადაგებენ მას გარკვეულ გრაფიკულ გამოსახულებას – ასოს. შემდეგ კითხვის პროცესში ბავშვი ასოებს აერთიანებს მარცვლებში და მარცვლებს – სიტყვებში. წაკითხულ სიტყვას კი აერთიანებს ზეპირმეტყველების საშუალებით გამოთქმულ სიტყვასთან.

*მარცვლოვანი კითხვის სტადია;*

კითხვის სირთულის პედაგოგიური შეფასების მაჩვენებლების კვლევა დისლექსიის მქონე...

ამ სტადიაზე კითხვის ერთეულს წარმოადგენს მარცვალ. კითხვის პროცესში მარცვლები საკმაოდ სწრაფად უკავშირდება შესაბამის ხმოვან (ბგერით) კომპლექსს. თუმცა, კითხვის პროცესი ჯერ კიდევ ანალიტიკურ ხასიათს ატარებს. სინთეზური და ერთიანი კითხვა ჯერ კიდევ არ არის შესაძლებელი, ამიტომ კითხვის ტემპი ამ სტადიაზე საკმაოდ ნელია.

*აღქმის მთლიანობითი მეთოდის ჩამოყალიბების სტადია;*

ეს სტადია წარმოადგენს გარდამავალ ეტაპს კითხვის ანალიტიკურ და სინთეზურ მეთოდებს შორის. ამ სტადიაზე მარტივი და ნაცნობი სიტყვები იკითხება ერთიანად, ხოლო რთული და უცნობი სიტყვები – ჯერ ისევ მარცვალ-მარცვალ. ბავშვი ხშირად ცვლის სიტყვას ან სიტყვის დაბოლოებას. მოცემულ ეტაპზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს აზრობრივი გამოცნობა.

*სინთეზური კითხვის სტადია;*

ეს სტადია ხასიათდება კითხვის მთლიანობითი აღქმით. კითხვის ტექნიკური მხარე სირთულეს არ წარმოადგენს, მთავარი ამოცანაა წაკითხულის გააზრება. ამ ეტაპზე მკითხველი ახდენს არა მხოლოდ სიტყვების სინთეზს წინადადებებში, არამედ წინადადებების – ფრაზებში და მთლიან კონტექსტში. წაკითხულის შინაარსის გაგებას აუმჯობესებს მეტყველების ლექსიკო-გრამატიკული მხარის დახვეწა. კითხვის ჩვევის წარმატებული დაუფლების ძირითად პირობას წარმოადგენს ზეპირი მეტყველების ფორმირება, ფონეტიკურ-ფონემატიკური (ფონემების წარმოთქმა დიფერენციაცია, ფონემატური ანალიზი და სინთეზი) და ლექსიკო-გრამატიკული სტრუქტურების ფორმირება, სივრცითი წარმოდგენების განვითარება, მხედველობითი ანალიზი და სინთეზი და მხედველობითი მწეზისი (Learner, 1997).

კითხვა ბუნებრივად არ ვითარდება და აუცილებელია სპეციალურად დასწავლა. ამ პროცესს საფუძვლად მრავალი უნარი უდევს, როგორებიცაა: მუშა მეხსიერება, სივრცითი და ვიზუალური უნარები, ფონემების ამოცნობის უნარი, ფონემური ანალიზი და სინთეზი. იმისათვის, რომ კითხვის უნარი სრულყოფილად იქნას განვითარებული, აუცილებელია შემდეგი ხუთი ძირითადი კომპონენტის განვითარების ხელშეწყობა:

1. ფონოლოგიური უნარ-ჩვევები;
2. ანბანის ცნობა;
3. ლექსიკური მარაგის არსებობა;
4. გამართული კითხვა;
5. წაკითხულის გაგების და გააზრების უნარი (ისაკაძე და ლომიძე, 2020).

## დისლექსია

კითხვის უნარის განვითარება ყოველთვის ერთნაირად არ მიმდინარეობს. ამ პროცესში ზოგჯერ წარმოიშობა სირთულე, შეფერხება, რაც დისლექსიად იწოდება. ტერმინი „დისლექსია“ ბერძნული წარმომავლობისაა. Dys ნიშნავს მცირეს, Lexis კი – სიტყვებს (გაგოშიძე, 2007). ის პირველად გერმანელმა ოფთალმოლოგმა რუდოლფ ბერლინმა გამოიყენა, რომელიც დააკვირდა, რომ მისი ზრდასრული პაციენტების ნა-

ნილს, მიუხედავად მხედველობის პრობლემების არქონისა, უჭირდა ნაბეჭდი ტექსტის სწორად წაკითხვა. მისი ვარაუდით, პრობლემა ტვინის ფიზიოლოგიურ ცვლილებაში მდგომარეობდა (Berlin, 1887). ფსიქიკური აშლილობების სადიაგნოსტიკო და სტატისტიკური სახელმძღვანელოს მე-5 ვერსიაში (American Psychiatric Association, 2013), დისლექსიის დიაგნოზი მოცემულია სახელით „დასწავლის სპეციფიკური დარღვევა“, რომლის ქვეტიპი არის – კითხვის შეფერხება. კონკრეტულად დისლექსიის დიაგნოსტიკისთვის მოცემულია დამატებითი კოდი (315 (F81.0)), რომელიც მოინიშნება მაშინ, თუ გამოხატულია პრობლემები შემდგომ სფეროებში:

- სიტყვების სწორად კითხვა;
- კითხვის სიჩქარე ან მოქნილობა;
- წაკითხულის გააზრება.

ზაზვასმით აღსანიშნავია დისლექსიის საფუძვლად მდებარე მექანიზმები და წინარე უნარები, რომელთა განვითარება-არსებობა აუცილებელია კითხვის უნარის ათვისებისთვის და რომლებთან დაკავშირებული სირთულეებიც შეიძლება მასწავლებელმა პირველმა შენიშნოს. ასეთი სიმპტომები სკოლამდელ ასაკში შეიძლება გამოიხატებოდეს ენასთან დაკავშირებული თამაშებისადმი ინტერესის ან ლექსების დასწავლის უნარის ნაკლებობით. ბავშვები შეიძლება არასწორად წარმოთქვამდნენ სიტყვებს, უჭირდეთ რიცხვების, კვირის დღეების ან ასოების დამახსოვრება. ბაღში მისული ბავშვები შეიძლება ვერ ცნობდნენ ან წერდნენ ასოებს, საკუთარ სახელს ან იყენებდნენ გამოგონილ დამწერლობის სისტემას. მათ, ასევე, შეიძლება უჭირდეთ სიტყვების დამარცვლა ან გართმული სიტყვების ამოცნობა. მნიშვნელოვანი პრობლემაა ასოს და ბგერის კავშირის აღქმა და ფონემების ამოცნობა. პირველი-მესამე კლასის მოსწავლეებს უჭირთ კითხვა და ცდილობენ თავი აარიდონ პროცესს. შემდგომ კლასებში შეიძლება შევხვდეთ მრავალმარცვლიანი სიტყვების არასწორად წარმოთქმას, მარცვლების გამოტოვებას, მსგავსი სიტყვების ერთმანეთში არევის. ხშირად უჭირთ დავალების შესრულებისას კონკრეტულ დროში ჩატევა. მოზარდობაში აღარ გვხვდება სიტყვის დეკოდირების პრობლემა, მაგრამ კითხვა შენელებული და გართულებულია. მათ კვლავ ახასიათებთ წერილი შეცდომები და ტექსტის თითო-თითო სიტყვით ამოკითხვა. უჭირთ ტექსტიდან აზრის სწორად გამოტანა. ცხოვრების ყველა ეტაპზე ვხვდებით ისეთი აქტივობების თავიდან არიდების მცდელობებს, რომლებიც მოითხოვს კითხვის ან წერის პროცესს (DSM V).

დარღვევათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-11 გამოცემაში (World Health Organization, 2019) დასწავლის უნარის დარღვევა მოცემულია ნეიროგანვითარების დარღვევების ჯგუფში, როგორც დასწავლის დარღვევა. მისი ქვეტიპია კითხვის შეფერხება. დარღვევის აღწერაში მოცემულია ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა მნიშვნელოვანი და განგრძობითი სირთულეები კითხვის აკადემიურ უნარში, მაგალითად, სიტყვის სწორად წაკითხვა, კითხვის მოქნილობა და წაკითხულის გააზრება. კლასიფიკაციაში ნათქვამია, რომ ინდივიდის მიერ კითხვის უნარში ჩამორჩენა უნდა იყოს მკაფიო და განსხვავებულად მისი ქრონოლოგიური ასაკისთვის დამახასიათებელ კითხვის უნარსა და ინტელექტუალური ფუნქციონირების ზოგად დონესთან და ხელს უშლიდეს ინდივიდს აკადემიურ ან შრომით საქმიანობაში (ICD 11).

კითხვის სირთულის პედაგოგიური შეფასების მაჩვენებლების კვლევა დისლექსიის მქონე...

დისლექსიის შესაფასებლად გამოიყენება ნორმაზე ორიენტირებული ტესტები, როგორცაა მათ შორის ფართოდ გამოყენებული ვუდკოკ-ჯონსონის კითხვის ოსტატობის შესწორებული ტესტი (Woodcock, 1987), რომელიც მოიცავს კითხვის უნარების და სიტყვების წაკითხვის ეფექტურობის ტესტს TOWRE (Torgesen, Wagner, & Rashotte, 1999). TOWRE აფასებს სიტყვების წაკითხვის სიჩქარეს და სიზუსტეს. ფსევდოსიტყვები (როგორც ფონოლოგიური დეკოდირების საზომები) წარმოდგენილია სიის ფორმატში თანმიმდევრობით, მზარდი სირთულით და მოსწავლეებს აქვთ 45 წამი მათ წასაკითხად.

საქართველოში დისლექსიის დიაგნოსტიკისთვის ფსიქიატრები იყენებენ WRAT-4 – Wide Range Achievement Test – მილნეის ფართო სფეროს ტესტს (Robertson & Wilkinson, 2006). ამავე ტესტს დისლექსიის შესაფასებლად იყენებენ ნეიროფსიქოლოგები, თუმცა ისინი დიაგნოზს არ სვამენ და შეფასების ბოლოს, დასკვნაში წერენ: „სავარაუდოა დისლექსია“. ტესტი ზომავს ზოგად აკადემიურ უნარებს სიტყვების კითხვაში, წინადადების აღქმაში, სწორად წერასა და მათემატიკურ კალკულაციებში. ნორმები მოცემულია სასკოლო ასაკის ბავშვებისა და უფროსებისთვისაც, რაც ნებისმიერი ასაკის ადამიანის შეფასების საშუალებას იძლევა.

WRAT-4 ოთხი ქვესკალისგან შედგება:

- სიტყვების კითხვის ქვესკალა ზომავს ასოების და სიტყვების დეკოდირების უნარს;
- წინადადებების აღქმის ქვესკალა ზომავს ინდივიდის უნარს, გამოიტანოს აზრი წაკითხული სიტყვებიდან, გაიგოს წინადადებაში მოცემული იდეა და ინფორმაცია;
- სწორად წერის ქვესკალა ზომავს ინდივიდის უნარს, დააკოდიროს ბგერები წერილობით და ჩაწეროს ნაკარნახები ასოები და სიტყვები;
- მათემატიკური კალკულაციების ქვესკალა ზომავს ინდივიდის უნარს, დაითვალოს, ამოიცნოს ციფრები, ამოხსნას მარტივი ზეპირი მათემატიკური ამოცანები, გამოთვალოს წერილობით მიცემული ამოცანები მათემატიკის სხვადასხვა განხრაში – არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია და მაღალი რანგის ოპერაციები.

ტესტის ჩატარების შემდეგ დგება კითხვის შედეგნილი ქულა, სადაც მოცემულია სიტყვების კითხვის და წინადადებების აღქმის სუბსკალების ქულები (Robertson & Wilkinson, 2006). WRAT-4-ის ჩატარებას 15 წუთი სჭირდება ბავშვებში და 30 წუთი თინეიჯერებსა და უფროსებში, რაც მას ეფექტურობას მატებს. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, მათემატიკურ და წერის მოდულებში. WRAT-4 ტესტი სანდოობით გამოირჩევა. უახლესი კვლევებით დასტურდება მისი სანდოობა კონკრეტულ პოპულაციებშიც, კერძოდ, აუტიზმის სპექტრის მქონე ინდივიდებში (Jantz et al., 2015).

სხვადასხვა ქვეყნის განათლების სისტემაში დისლექსია მოსწავლეებში, ძირითადად, ზემოთ მოცემული სტანდარტიზებული ტესტების გამოყენებით დიაგნოსტირდება. ასეთი ტესტები შეიძლება ჩატარდეს კითხვაში, წერაში, კოგნიტურ უნარებში (მაგ., ფონოლოგიური უნარისთვის) და სხვა. ამის მიუხედავად, მაინც არსებობს აზრთა სხვაობა, თუ რა არის დისლექსიის შეფასების საუკეთესო ვერსია (Tamboer & Vorst, 2015).

კვლევებმა აჩვენა, რომ დისლექსია წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას მთელ მსოფლიოში საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის (გავრცელებით 7.10%, 95% CI:

6.27-7.97%) და ის ბიჭებში უფრო მეტად გვხვდება, ვიდრე გოგონებში (Yang, Liping & Li, Chunbo & Li, Xiumei & Zhai, Manman & An, Qingqing & Zhang, You & Zhao, Jing & Weng, Xuchu. (2022)). ამავე სტატიაში მოცემული მეტაანალიზის მიხედვით, საინტერესოა, რომ მნიშვნელოვანი განსხვავება არ არის დისლექსიის გავრცელებაში ლოგოგრაფიულ და ანბანურ დამწერლობის სისტემებს და არც სხვადასხვა ორთოგრაფიული სიღრმის ანბანურ დამწერლობას შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ქვეყანაში ხშირად „ზარმაც“ ბავშვად მოიაზრებენ კითხვის სირთულის მქონე მოსწავლეს. როგორც პრაქტიკა აჩვენებს, საქართველოში ნაკლებად მიმართავენ დისლექსიის დიაგნოსტიკისთვის სპეციალისტს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანი იყო პედაგოგებისთვის შეგვექმნა შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც გამოავლენდა კითხვის სირთულეს სასკოლო გარემოში. ასეთი ინსტრუმენტი საქართველოში ამ დრომდე არ არსებობდა. ამით შეიქმნებოდა დისლექსიის ადრეული იდენტიფიკაციის და სწრაფი რელევანტური რეაგირების შესაძლებლობა. ადრეული იდენტიფიკაციის უპირატესობაზე კი არაერთი კვლევა „საუბრობ“. აუცილებელია კითხვის სირთულის ზუსტად დადგენა რაც შეიძლება ადრეულ ასაკში, რათა ბავშვები უზრუნველყოფილნი იყვნენ მათთვის საჭირო დახმარებით (Colenbrander, D., Ricketts, J., & Breadmore, H. L. (2018)). ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმ მტკიცებულებების გათვალისწინებით, რომლებიც ადასტურებს, რომ ეფექტურ ადრეულ მხარდაჭერას ისეთი სარგებელი აქვს, რომელიც აშკარაა ათ წელზე მეტი ხნის შემდეგაც კი (Tymms, Merrell, & Bailey, 2017). გარდა ამისა, მოგვიანებით ჩარევა შეიძლება იყოს უფრო ძვირი, ვიდრე – ადრეულ ეტაპზე (Wanzek & Vaughn, 2007).

საერთო ჯამში, ნათელია, რომ დისლექსია ფართოდ გავრცელებული პრობლემაა და მისი იდენტიფიცირება უმჯობესია ადრეულ ასაკში. იდენტიფიკაციის პროცესში კი უნდა მონაწილეობდნენ მასწავლებლები, მშობლები, სკოლის ფსიქოლოგები, სპეციალური მასწავლებლები და ბავშვის განათლებაში ჩართული სხვა პირები.

## კვლევის აღწერა

### კვლევის მიზანი:

კითხვის სირთულის გამოვლენის მაჩვენებლების დადგენა და დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმის (ჩეკლისტის) შექმნა, რაც საშუალებას მისცემს პედაგოგს ან სხვა დაინტერესებულ პირს, 6-11 წლის ბავშვებში გამოავლინოს კითხვის სირთულე.

### ამოცანები:

- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- კითხვის სირთულის შესაფასებელი კრიტერიუმების განსაზღვრა და ანალიზი იმ დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმებზე (ჩეკლისტებზე) დაყრდნობით, რომლებიც ამ დროისთვის კითხვის უნარის დარღვევის სკრინინგის მიზნით გამოიყენება სხვადასხვა ქვეყანაში;
- დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმის (ჩეკლისტის) შექმნა.

კითხვის სირთულის პედაგოგიური შეფასების მაჩვენებლების კვლევა დისლექსიის მქონე...

### **მეთოდოლოგია:**

რაოდენობრივი კვლევა და ექსპერტული ანალიზი.

### **კვლევის მონაცემების შეგროვების პროცედურა შედგებოდა რამდენიმე ეტაპისაგან:**

- დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმების (ჩეკლისტების) გაცნობა და ანალიზი;
- დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების თემატური ორგანიზება;
- დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმების (ჩეკლისტების) სტრუქტურირება – კითხვების დაჯგუფება, ექსპერტული ანალიზი, გადამფარავი კითხვების აღმოჩენა და ქართული ენის თავისებურებების გათვალისწინებით საბოლოო სახის შექმნა.

### **კვლევაში მონაწილე პირთა შერჩევა:**

მიზნობრივი და შემთხვევითი;

**სამიზნე ჯგუფი** – საკონტროლო ჯგუფი – შემთხვევითი შერჩევით (305 მოსწავლე).

### **კვლევაში მონაწილე პირები:**

- მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიან პირველიდან მეხუთე კლასის ჩათვლით ან სპეცმასწავლებლები, რომლებსაც ჰყავთ კითხვის უნარის დარღვევის/დისლექსიის მქონე დიაგნოსტირებული მოსწავლე და იცნობენ მათ აკადემიურ შესაძლებლობებს;
- მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიან პირველიდან მეხუთე კლასის ჩათვლით. მათ მიერ შემთხვევითი შერჩევით შერჩეული მოსწავლეები, რომელთა აკადემიურ შესაძლებლობებსაც თავად იცნობენ.

## **კითხვის სირთულის შესაფასებელი კითხვარების ზოგადი ანალიზი**

ტვინის სწრაფი ზრდა და მისი რეაგირება ინსტრუქციებზე, დაბადებიდან რვა წლამდე ასაკს კრიტიკულ პერიოდად აქცევს წიგნიერების განვითარებისთვის (Nevills & Wolfe, 2009). კითხვის სირთულეებთან დაკავშირებული მახასიათებლები კავშირშია სალაპარაკო ენასთან. მცირენლოვანი ბავშვების სირთულეების შეფასება შესაძლებელია ფონემატური ცნობიერების და სხვა ფონოლოგიური უნარების სკრინინგით (Sousa, 2005). გარდა ამისა, როდესაც შესაბამისი ჩარევა ადრეულ ეტაპზე გამოყენებული, ეს არა მხოლოდ უფრო ეფექტურია, არამედ იცავს ბავშვს კითხვის წარუმატებლობასთან დაკავშირებული უარყოფითი მეორადი შედეგების განვითარებისაგან, როგორცაა თავდაჯერებულობის დაქვეითება და დეპრესია. ზემოაღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, აუცილებელია მოსწავლეების სკრინინგი დისლექსიისა და მასთან დაკავშირებული სირთულეებისა, მათი აკადემიური კარიერის დასაწყისში (Eden, 2015). წიგნი – Straight Talk Reading, ჰოლი და მოსტის აცხადებენ, რომ ადრეული იდენტიფიკაცია იმდენად მნიშვნელოვანია, რომ, რაც უფრო ადრე მოხდება ჩარევა, მით უფრო ადვილია მისი გამოსწორება (Hall & Moasts, 1999). ადრეული სკრი-

ნინგი 85%-ით განსაზღვრავს რისკის ქვეშ მყოფ ბავშვებს საბავშვო ბაღშიც კი და თუ ჩარევა 8 წლამდე არ მოხდება, კითხვის სირთულეების საშუალო სკოლაში გაგრძელების ალბათობა 75%-ია.

კვლევის ფარგლებში, სხვადასხვა განვითარებული ქვეყნის მიერ გამოყენებული დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის თერთმეტი ფორმის (ჩეკლისტის) დეტალური ანალიზის შემდეგ, დავაჯგუფეთ ის ძირითადი საკვლევი საკითხები და მათში შემავალი კითხვები, რომლებიც ყველასთვის საერთო იყო. მათი გამთლიანების საფუძველზე თავდაპირველად 88 ინდიკატორი მივიღეთ, თუმცა თვალშისაცემი იყო, რომ ზოგიერთი კითხვის შინაარსი ერთმანეთს მოიცავდა, ფარავდა. შესაბამისად, მივმართეთ ექსპერტულ ანალიზს. ექსპერტთა მოსაზრებების გათვალისწინებით, დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმის (ჩეკლისტის) საბოლოო ვარიანტი 49 კითხვას შეიცავს. აქვე უნდა ითქვას, რომ დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმების (ჩეკლისტების) დამუშავებამ მაჩვენა, რომ მათში, ხშირ შემთხვევაში, გამოყენებული იყო კითხვები, რომლებიც მოსწავლის კოგნიტურ უნარებს აფასებს. რამდენადაც ცნობილია, ჩვენ ქვეყანაში, პედაგოგები არ სწავლობენ კოგნიტური უნარების შეფასებას. შესაბამისად, ამოვიღეთ ისინი (კითხვები კოგნიტურ ფუნქციებზე) და საკვლევი ინდიკატორების ჩამონათვალში არ ვიყენებ. ბუნებრივია, დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმის შექმნისას გათვალისწინებული იქნა ქართული ენის თავისებურებები, მათ შორის მისი გამჭვირვალობა – ის, რომ თითოეულ ასოს გამოსახულებას ერთი ფონემა შეესატყვისება (განსხვავებით, მაგალითად ინგლისური ენისაგან, რომელ ენაზეც არის ჩვენ მიერ გაანალიზებული დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ყველა ფორმა (ჩეკლისტი)) და იმ პრაქტიკის საფუძველზე შეგროვილი ინფორმაცია, რომელიც ამ სირთულის მქონე ბავშვებთან მუშაობის დროს დამიგროვდა. ინდიკატორებს მაგალითები შევუსაბამეთ ქართული ენის სწავლისას, დისლექსიის მქონე ბავშვების მიერ დაშვებული შეცდომების მიხედვით. ასეთი ინდიკატორებია: გართიმულ სიტყვებში განსხვავებული ბგერის ამოცნობა/ცნობა. მაგალითად: ქარი, კარი, ბარი; სიტყვებს კითხულობს მსგავსი ასოებით შედგენილი სიტყვების ჩანაცვლებით „შვილი“- „შველი“ „ბალი“- „ბოლი“ „ბალი“-„ბალი“; ასოებს არასწორი მიმდევრობით კითხულობს „იხვი“ – „იხვი“ „წინგი“ „წინგი“; ურევს სიტყვებს, რომლებიც ერთნაირად ჟღერს, მაგალითად: „პირი“ – „პური“ „მოცურდა“ – „მოძულდა“, „გარხევს“- „გახევს“ „ცხრის“-„ცხვირის“; იყენებს არასწორ სიტყვებს (სიტყვა არ არის დაკავშირებული ბგერებთან) – მაგ: „ზვიგენი“ – „ვეშაპის“ ნაცვლად, ანდა კითხულობს „კურდღელს“ – „ბაჭის“ ნაცვლად; ერთმანეთში ერევა მსგავსი მოხაზულობის ასოები – შ, წ, ძ, ხ, ნ, მ..; გამოტოვებს სიტყვების დაბოლოებებს – „ები“, „-ენ“, „დან“, „გან“... და ა. შ.

მნიშვნელოვანია, რომ გამოთქმასა და მართლწერას შორის ურთიერთკავშირის თვალსაზრისით, შესაძლებელია განვასხვავოთ გამჭვირვალე ორთოგრაფიული ენები, რომლებიც ცალსახად, გამჭვირვალედ აკავშირებს ფონემებს და გრაფემებს ერთმანეთთან და ისეთი ორთოგრაფიული ენები, რომლებიც ხასიათდებიან ზეპირ და წერილობით ფორმას შორის კიდევ უფრო რთული ურთიერთმიმართებით. პირველ კატეგორიას მიეკუთვნება იტალიური, ესპანური, გერმანული და ბერძნული, ხოლო მეორე



კითხვის სირთულის პედაგოგიური შეფასების მაჩვენებლების კვლევა დისლექსიის მქონე...

ჯგუფს ეკუთვნის ფრანგული და ინგლისური. ქართული ანბანი შედგება 33 ასოსგან, რომლებიც შეესაბამება 33 ბგერას და არც ერთით – მეტს, როგორც ეს ინგლისურ ან გერმანულ ენებშია. ჩვენ ხმამაღლა ვკითხულობთ იმას, რასაც ვხედავთ ფურცელზე. ქართულ ენაში არ არსებობს ასოების ისეთი კომბინაცია, რომელიც ქმნის სხვა ფონემებს, შესაბამისად ქართული გამჭვირვალე ენაა. როგორც კვლევები ადასტურებს, ასეთ ენაზე კითხვის დასწავლა შედარებით ადვილია. იმ ენების შესწავლისას, სადაც სამეტყველო ბგერებსა და მათ გრაფიკულ გამოსახულებას შორის შესაბამისობა ბევრად უფრო მარტივია, მოსწავლეები უფრო ადვილად სწავლობენ კითხვას (IDA- International Dyslexia Association).

კვლევის მიზნით გავეცანით შემდეგი დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმებს (ჩეკლისტებს):

1. **Dyslexia Teacher Observation Checklist, Alabama Dyslexia Resource Guide (PP. 10 & 11)**
2. **Dyslexia Initial Checklist**
3. **DYSLEXIA CHILDREN'S CHECKLIST FOR PARENTS (Swindon Dyslexia Centre)**
4. **Foundation Stage Dyslexia Checklist**
5. **Primary School Dyslexia Checklist (EXAMPLE BDA Quality Mark for Schools) (The British Dyslexia Association)**
6. **Secondary School Dyslexia Checklist (EXAMPLE BDA Quality Mark for Schools) (The British Dyslexia Association)**
7. **Pupil Checklist for Dyslexia Dyslexia Scotland**
8. **Teacher Observation Questionnaire for Dyslexia Texas Scottish Rite Hospital for Children – 2011**
9. **Checklist For ages 5-11 (Speech and Language UK)**
10. **Dyslexia Friendly Quality Mark for Individual Schools (For Guidance/Information Purposes) British dyslexia association 2015**
11. **Teacher Checklist for Characteristics of Dyslexia (Minnesota Department of Education)**

### დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმის (ჩეკლისტის) შექმნის პროცესი

ჩვენ დავეყრდენით დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის შემდეგ ფორმებს:

- მასწავლებლის კითხვარი – **Teacher Observation Questionnaire for Dyslexia – Texas Scottish Rite Hospital for Children – 2011** ტეხასის შტატში გამოიყენება. ის ცნობილია, როგორც მასწავლებლის დაკვირვების კითხვარი და არ განსაზღვრავს სკოლის საფეხურს, კლასებს, ასაკს. ის იწყება საბავშვო ბაღიდან და პირველი კლასიდან და გრძელდება **(Postsecondary)** კოლეჯში შესვლამდე;
- დისლექსიის შესაფასებელი კიდევ ერთი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმა (ჩეკლისტი), რომელიც კვლევაში გამოვიყენეთ არის **Checklist For ages 5-11**

**(Speech and Language UK).** მოცემული კითხვარი გამოიყენება ბრიტანეთის სამეფოში. ამ კითხვარში შეფასებისას მასწავლებელი პასუხობს კითხვებს – არა, ხანდახან, ხშირად;

- ასევე, გამოვიყენეთ შეფასების ინსტრუმენტი პედაგოგებისთვის, რომელიც ბრიტანეთის სამეფოს დისლექსიის ასოციაციის რესურსს წარმოადგენს. უნდა ითქვას, რომ დაწყებითი და საბაზო საფეხურებისთვის მათ სხვადასხვა ტესტი აქვთ: დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმა (ჩეკლისტი) დაწყებითი სკოლისთვის (**Primary School Dyslexia Checklist**) და დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმა (ჩეკლისტი) საბაზო სკოლისთვის (**Foundation Stage Dyslexia Checklist**).

აღნიშნული დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმის ანალიზი კარგად გვაჩვენებს ასაკობრივი განვითარების ტრილში შესაძლო სირთულეებისა და ძლიერი მხარეების მრავალფეროვნებას.

ჩვენ მიერ შექმნილი დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმის (ჩეკლისტის) ნაწილი აღებულია მინესოტას შტატის განათლების დეპარტამენტის დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმიდან (ჩეკლისტიდან) – **Teacher Checklist for Characteristics of Dyslexia (Minnesota Department of Education)**. ავტორები გვაცნობენ, რომ ის შეიქმნა დისლექსიის ამოცნობის პროცესში განათლების სფეროს მუშაკების დასახმარებლად, თუმცა არ უნდა იქნას გამოყენებული დიაგნოზის დასასმელად. დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმა (ჩეკლისტი) უნდა შეივსოს პირველი უნივერსალური სკრინინგიდან ექვსი კვირის განმავლობაში. შემაჯამებელი დებულებები დაეხმარება გუნდს გადამწყვიტოს მომდევნო ნაბიჯების მიმდევრობა და შეაჯეროს ინფორმაცია – „რამდენად უნდა ვიღებო ამ საკითხზე“.


კვლევის ბოლოს, ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ექსპერტული ანალიზის გავლის შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ მიერ შექმნილ დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმაში (ჩეკლისტში) სულ 49 კითხვა დარჩა.

ჩვენი კვლევა ეხება 6-11 წლის მოსწავლეებს (პირველიდან მეხუთე კლასის ჩათვლით). ის ჩატარდა სასწავლო პროცესის დასასრულს, მეორე სემესტრის ბოლოს. ეს პერიოდი გააზრებულად იქნა არჩეული, ვინაიდან მნიშვნელოვანი იყო, რომ პირველკლასელებს უკვე დამთავრებული ჰქონოდათ საანბანო პერიოდი, ასოების სრულად დასწავლა. დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმა (ჩეკლისტი) პედაგოგებისა და სპეცპედაგოგების მხრიდან შეივსო 305 მოსწავლეზე. ამათგან 67,9 %-ს (207 მოსწავლე) არ აქვს სპეციალისტის შეფასება კითხვის სირთულესთან დაკავშირებით, ხოლო 32,1%-ს (98 მოსწავლე) აქვს. **იხ: დიაგრამა 1.**


კვლევაში მონაწილე ტიპური განვითარებისა და დისლექსიის მქონე მოსწავლეთა პროცენტული გადანაწილების მაჩვენებლები: კვლევაში მონაწილე მოსწავლეთაგან 61,6% (188 მოსწავლე) ბიჭია, 38,4% (117 მოსწავლე) – გოგონა. **იხ. დიაგრამა 2.**

კითხვის სირთულის პედაგოგიური შეფასების მაჩვენებლების კვლევა დისლექსიის მქონე...

დიაგრამა 1.




დიაგრამა 2.



კლასების მიხედვით კვლევაში მონაწილე მოსწავლეების მონაცემები ასე გადანაწილდა: მეხუთე კლასი – 26,2%, მეოთხე კლასი – 20%, მესამე კლასი – 20%, მეორე კლასი – 20,7% და პირველი კლასი – 12,5%. **იხ. დიაგრამა 3.**

**დიაგრამა 3.**



რაოდენობრივი კვლევა დავიწყეთ მთავარი თემით – დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმის (ჩეკლისტის) ცალკეული ინდიკატორი განასხვავებს თუ არა დისლექსიის დიაგნოზის მქონე და ტიპური განვითარების მქონე ბავშვებს ერთმანეთისაგან. შემდეგ ეს გავაკეთეთ ცალ-ცალკე კლასების მიხედვითაც და მივიღეთ სანდო მაჩვენებლები, რომლებიც, ჩვეულებრივ, სანდოდ ითვლება 0.05-ზე ნაკლებობის შემთხვევაში. კვლევის სანდოობის თვალსაზრისით ეს მნიშვნელოვანი ინფორმაციაა. ამის შემდეგ გავზომეთ ოთხივე სკალის სანდოობა დისლექსიის დიაგნოზთან მიმართებაში. დავაჯამეთ კითხვების პასუხები და ამ საერთო მაჩვენებლების სანდოობაც გავზომეთ.

იმის შესამოწმებლად, ერთსა და იმავე საკითხს იკვლევს თუ არა კითხვები და სკალები, გამოვიყენეთ კრონბახის ალფა, რომლის მნიშვნელობაც მივიღეთ 0.958, რომელიც, ასევე, სანდო მაჩვენებელია.

Reliability Statistics
Cronbach's Alpha
0.958

კითხვის სირთულის პედაგოგიური შეფასების მაჩვენებლების კვლევა დისლექსიის მქონე...

სტატისტიკურად სანდო (ძირითადად, 98%-იანი სანდოობის მაჩვენებელი, ანუ < 0.01-ზე) დადებითი კორელაცია იყო თითოეულ კითხვასა და დისლექსიის დიაგნოზს შორის, ასევე – ცალკეული სკალების, მათი – ოთხივეს ცვლადების საერთო მაჩვენებლისა და დისლექსიის დიაგნოზს შორის. ამის საკვლევად გამოვიყენეთ სპირმენის კორელაციის კოეფიციენტი. **იხ. ცხრილი 1.**

**ცხრილი 1.**

<b>Correlations<sup>b</sup></b> Correlation Coefficient	თქვენ მოსწავლეს აქვს თუ არა ნეიროფსიქოლოგის ან/და ფსიქიატრის შეფასება/დიაგნოზი – კითხვის სირთულე/კითხვის უნარის დარღვევა/დისლექსია	ფონოლოგიური ანალიზი	ენობრივი პრობლემების ინდიკატორი: ალქმა, კონტექსტი, წაკითხულის გაგება/გააზრება	მწირი ლექსიკონი და ზეპირმეტყველება	ორთოგრაფიული სირთულეების ინდიკატორი	საერთო
თქვენ მოსწავლეს აქვს თუ არა ნეიროფსიქოლოგის ან/და ფსიქიატრის შეფასება/დიაგნოზი – კითხვის სირთულე/კითხვის უნარის დარღვევა/დისლექსია	1.000	.571	.508	.518	.489	.598
ფონოლოგიური ანალიზი	.571	1.000	.681	.691	.774	.892
ენობრივი პრობლემების ინდიკატორი: ალქმა, კონტექსტი, წაკითხულის გაგება/გააზრება	.508	.681	1.000	.825	.759	.882
მწირი ლექსიკონი და ზეპირმეტყველება	.518	.691	.825	1.000	.675	.897
ორთოგრაფიული სირთულეების ინდიკატორი	.489	.774	.759	.675	1.000	.880
საერთო	.598	.892	.882	.897	.880	1.000

\*\* Correlation is significant at the 0.01 level (2-tailed).

ჩვენი შემდეგი ამოცანა გახლდათ, თითოეული კლასისთვის თითოეულ სკალაზე საერთო მაჩვენებლისათვის დონეების განსაზღვრა.

ამის შემდეგ, მეხუთე კლასისათვის დავთვალეთ ჯამური, თითოეული სკალისათვის კი – საშუალო და სტანდარტული გადახრა როგორც ტიპური განვითარების, ასევე დიაგნოზის მქონე ბავშვებისთვის. შესაბამისად, შევაფასეთ განსხვავებების სანდობა. ყველგან მივიღეთ 98% მაღალი სანდობა, ანუ მაჩვენებელი ნაკლები იყო 0.01-ზე.

**იხ. ცხრილი 2.**

**ცხრილი 2.**

	საშუალო		სტანდარტული გადახრა		სანდობა
	არა	დიახ	არა 2	დიახ 3	
ფონოლოგიური ანალიზი	5.65	11.24	4.39	2.03	0.000
ენობრივი პრობლემების ინდიკატორი: ალქმა, კონტექსტი, ნაკითხულის გაგება-გააზრება	2.96	5.79	2.31	1.45	0.000
მწირი ლექსიკონი და ზეპირმეტყველება	4.20	8.14	3.27	2.05	0.000
ორთოგრაფიული სირთულეების ინდიკატორი	4.39	7.97	3.32	1.94	0.000
საერთო	17.20	33.14	11.83	5.29	0.000

მიღებული მონაცემების საფუძველზე შევიმუშავეთ კითხვის სირთულის გამოსავლენი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმის შეფასების დონეების ცხრილი და მივიღეთ შემდეგი განაწილება (რიცხოობრივი მაჩვენებლები): ნორმა, სავარაუდო და მაღალი ალბათობა.

როგორც ქვემოთ მოცემულ ცხრილში (ცხრილი 3.) ჩანს, პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კლასის მოსწავლეების შემთხვევაშიც, დავთვალეთ ჯამური, თითოეული სკალისათვის კი – საშუალო და სტანდარტული გადახრა. განსხვავებების სანდობის მაჩვენებელი თითოეული სკალისათვის 0.01-ზე ნაკლებია, რაც, ასევე, სანდო მაჩვენებელია.

**ცხრილი 3.**


	საშუალო		სტანდარტული გადახრა		სანდობა
	არა	დიახ	არა 2	დიახ 3	
ფონოლოგიური ანალიზი	6.26	9.31	4.36	2.60	0.00
ენობრივი პრობლემების ინდიკატორი: ალქმა, კონტექსტი, ნაკითხულის გაგება-გააზრება	4.24	6.27	2.85	1.73	0.00
მწირი ლექსიკონი და ზეპირმეტყველება	5.35	8.23	4.13	2.80	0.00
ორთოგრაფიული სირთულეების ინდიკატორი	5.21	7.31	3.37	2.51	0.00
საერთო	21.06	31.13	13.58	7.50	0.00

კითხვის სირთულის პედაგოგიური შეფასების მაჩვენებლების კვლევა დისლექსიის მქონე...

ქვემოთ მოცემული დიაგრამები კი გვაჩვენებს, როგორ ნაწილდება რიცხობრივი მაჩვენებელი თითოეული სკალისთვის.

მეოთხე დიაგრამიდან ჩანს, რომ დისლექსიის მქონე მეხუთე კლასის მოსწავლეებისთვის ძირითად პრობლემას წარმოადგენს ფონოლოგიური ანალიზი და მწირი ლექსიკონი და ზეპირმეტყველება. ყველაზე ნაკლებად გამოხატული სირთულე კი ენობრივი პრობლემების ინდიკატორი: ალქმა, კონტექსტი და წაკითხულის გაგება-გააზრებაა. იხ. დიაგრამა 4.

დიაგრამა 4.




როგორც მეხუთე დიაგრამიდან ჩანს, დისლექსიის მქონე პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კლასის მოსწავლეებისთვისაც ფონოლოგიური ანალიზია წამყვანი პრობლემა. მათთვის თითქმის თანაბარ სირთულეს წარმოადგენს მწირი ლექსიკონი და ზეპირმეტყველება და ორთოგრაფიული სირთულეები. იხ. დიაგრამა 5.


მეექვსე დიაგრამიდან ჩანს, რომ დისლექსიის მქონე მეხუთე კლასელ მოსწავლეებს, მოცემული ოთხი სკალის მიხედვით, პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კლასელი დისლექსიის მქონე მოსწავლეებისგან ორი სირთულე განასხვავებთ: ფონოლოგიური ანალიზი და ორთოგრაფიული სირთულეების ინდიკატორი. მაშინ, როდესაც, მათთან შედარებით, პირველ-მეოთხეკლასელ მოსწავლეებს, ოდნავ მეტი პრობლემა აქვთ ენობრივი სირთულეების ინდიკატორებში: ალქმა, კონტექსტი და წაკითხულის გაგება-გააზრებასა და მწირ ლექსიკონსა და ზეპირმეტყველებაში. იხ. დიაგრამა 6.

კვლევის ფარგლებში ჩვენ შევადარეთ მონაცემები ტიპური განვითარების მქონე მეხუთე და პირველ-მეოთხე კლასის მოსწავლეებთან, ოთხივე სკალის მიხედვით. გამოიკვეთა, რომ მეხუთე კლასამდე მოსწავლეებს ოთხივე სკალის მიხედვით, უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვთ, შესაბამისად, მეტი სირთულეებიც, ვიდრე მეხუთე კლა-

დიაგრამა 5.




დიაგრამა 6.



სელებს. თუმცა, ენობრივი პრობლემების ინდიკატორის: ალქმა, კონტექსტი, წაკითხულის გაგება-გააზრების გარდა, დანარჩენ სამ სკალაზე განსხვავებები უმნიშვნელოა. იხ. დიაგრამა 7.



დიაგრამა 7.



კვლევის შედეგად, ასევე, გამოიკვეთა, რომ როგორც ტიპური განვითარების შემთხვევაში, ასევე დიაგნოზის მქონე მოსწავლეების ჯგუფში მეხუთე და დაბალ კლასებს შორის სტატისტიკური სანდო განსხვავება ფიქსირდება მხოლოდ ტიპური განვითარების შემთხვევაში ფონოლოგიური ანალიზის სკალაზე. სანდოობის მაჩვენებელია 0.043, რაც ნაკლებია 0.05-ზე. ეს დისლექსიის დროს ფონოლოგიური ანალიზის მნიშვნელოვნებაზე მიუთითებს, რაც ჩვენ გარდა არაერთი სხვა კვლევითაც დასტურდება. ამასთანავე, ეს დაბეჭდვით მიუთითებს იმავეს, რომ ფონოლოგიური ანალიზი ასაკთანაც შეჭიდულია. იხ. ცხრილი 4.

ცხრილი 4.

	ტიპური განვითარება	დიაგნოზის მქონე
ფონოლოგიური ანალიზი	0.043	0.407
ენობრივი პრობლემების ინდიკატორი: ალქმა, კონტექსტი, წაკითხულის გაგება-გააზრება	0.126	0.957
მწირი ლექსიკონი და ზეპირმეტყველება	0.204	0.579
ორთოგრაფიული სირთულების ინდიკატორი	0.080	0.493
საერთო	0.071	0.454

მონაცემთა ერთნაირობა მიუთითებს დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმის (ჩეკლისტის) ვალიდობაზე.

ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ შექმნილი ეს რესურსი – დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმა (ჩეკლისტი) – ძალიან გამოადგებათ პედაგოგებს, ფსიქოლოგებსა და სპეცმასწავლებლებს, ასევე, ამ საკითხით დაინტერესებულ

სხვა პირებს და კიდევ უფრო გაამარტივებს კითხვის სირთულის აღმოჩენას ბავშვებში. ეს უკანასკნელი კი შეიძლება გახდეს ადრეული ინტერვენციის წინაპირობა, რაც ბავშვზე ორიენტირებულ, საუკეთესო გადანყვეტილებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დისლექსია დიდი გამოწვევაა მოსწავლეებისთვის და არა მხოლოდ მათთვის. მას შეუძლია მნიშვნელოვნად განსაზღვროს მოსწავლის აკადემიური განვითარება და შემდგომში მისი, როგორც ინდივიდისა და მოქალაქის, ცხოვრების ხარისხი. ეს კი, თავის მხრივ, უფრო გლობალურ, სახელმწიფოებრივ საკითხს წარმოადგენს. შესაბამისად, მივიჩნევ, რომ განათლების პოლიტიკამ უნდა განსაზღვროს და უზრუნველყოს როგორც დისლექსიის მქონე მოსწავლის, ასევე მასწავლებლის სათანადო მხარდაჭერა – მისთვის სათანადო ცოდნისა თუ რესურსების მიწოდება.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ:

- დისლექსიის დიაგნოსტიკა რთული პროცესია და ამისთვის არასაკმარისია მხოლოდ ფორმალური სადიაგნოსტიკო ტესტების გამოყენება. საჭიროა მოსწავლის ზოგადი ფონური მდგომარეობის შესწავლა, მშობლის, მასწავლებლისა და სხვა დამხმარე პირების/სპეციალისტების ინტერვიუება;
- დისლექსიის ადრეული იდენტიფიკაცია წარმოშობს მისი შეფასების ინსტრუმენტების არსებობისა და გამოყენების აუცილებლობას პედაგოგის, ფსიქოლოგის, სპეციალური მასწავლებლის თუ სხვა მხარდამჭერი სპეციალისტის მიერ;
- ჩვენი კვლევის ფარგლებში დადასტურდა, რომ ჩვენ მიერ 49 კითხვისაგან შემდგარი დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმის (ჩექლისტის) გამოყენებით შესაძლებელია 6-11 წლის (პირველიდან მეხუთე კლასის ჩათვლით) დისლექსიის/კითხვის შეფერხების მქონე მოსწავლის იდენტიფიცირება;
- ფონოლოგიური ანალიზის უნარი არის ის ძირითადი რესურსი, რომელსაც ეფუძნება კითხვის ეფექტურად სწავლა. ამ უნარის განვითარებაზე ზრუნვა უმჯობესია დაიწყოს ადრეული, სკოლამდელი ასაკიდან;
- დისლექსიის მქონე მეხუთე კლასის მოსწავლეებისთვის ძირითად პრობლემას წარმოადგენს ფონოლოგიური ანალიზი და მწირი ლექსიკონი და ზეპირმეტყველება. ყველაზე ნაკლებად გამოხატული სირთულე კი ენობრივი პრობლემების ინდიკატორი: აღქმა, კონტექსტი და ნაკითხულის გაგება-გააზრებაა;
- დისლექსიის მქონე პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კლასის მოსწავლეებისთვისაც ფონოლოგიური ანალიზია წამყვანი პრობლემა. მათთვის თითქმის თანაბარ სირთულეს წარმოადგენს მწირი ლექსიკონი/ზეპირმეტყველება და ორთოგრაფიული სირთულეები.

## კვლევის შეზღუდვები

ნაშრომის კვლევის შეზღუდვად შეიძლება მივიჩნიოთ, დისლექსიის შესაფასებელი ინდიკატორების ჩამონათვალის ფორმის (ჩექლისტის) მიხედვით მოსწავლეებში დისლექსიის გამოვლენის/შეფასების სიზუსტე.

კითხვის სირთულის პედაგოგიური შეფასების მაჩვენებლების კვლევა დისლექსიის მქონე...

ჩვენ ქვეყანაში დისლექსიის შეფასებას, ძირითადად, ახდენენ ნეიროფსიქოლოგები. მათ მიერ გაცემულ დასკვნებში ზოგჯერ შეიძლება შევხვდეთ ასეთ შეფასებას – „სავარაუდოა დისლექსია“. „სავარაუდოა“ არ არის სრული დადასტურება დისლექსიის არსებობის, თუმცა სავსებით საკმარისია ვარაუდისთვის და ეს უკვე ქმნის პრობლემას, რომ ამ ვარაუდის გათვალისწინებით მოსწავლემ მიიღოს სათანადო მხარდაჭერა.

## გამოყენებული ლიტერატურა

- Alabama Dyslexia Resource Guide. (n.d.). *Dyslexia Teacher Observation Checklist*. beachesreadingclinic.ca.
- American Psychiatric Association. (2013). *Diagnostic and statistical manual of mental disorders (5th ed.)*. <https://doi.org/10.1176/appi.books.9780890425596>
- British Dyslexia Association. (n.d.). *Dyslexia Friendly Quality Mark for Education – British Dyslexia Association*. <https://www.bdadyslexia.org.uk/services/dyslexia-friendly-awards/dyslexia-friendly-quality-mark-awards>
- British Dyslexia Association. (n.d.). *Primary School Dyslexia Checklist (EXAMPLE BDA Quality Mark for Schools)*. <https://www.bdadyslexia.org.uk/dyslexia/how-is-dyslexia-diagnosed/dyslexia-checklists>
- British Dyslexia Association. (n.d.). *Secondary School Dyslexia Checklist (EXAMPLE BDA Quality Mark for Schools)*. <https://www.bdadyslexia.org.uk/dyslexia/how-is-dyslexia-diagnosed/dyslexia-checklists>
- Alabama Dyslexia Resource Guide. (n.d.). *Dyslexia Teacher Observation Checklist*. beachesreadingclinic.ca.
- American Psychiatric Association. (2013). *Diagnostic and statistical manual of mental disorders (5th ed.)*. <https://doi.org/10.1176/appi.books.9780890425596>
- British Dyslexia Association. (n.d.). *Dyslexia Friendly Quality Mark for Education – British Dyslexia Association*. <https://www.bdadyslexia.org.uk/services/dyslexia-friendly-awards/dyslexia-friendly-quality-mark-awards>
- British Dyslexia Association. (n.d.). *Primary School Dyslexia Checklist (EXAMPLE BDA Quality Mark for Schools)*. <https://www.bdadyslexia.org.uk/dyslexia/how-is-dyslexia-diagnosed/dyslexia-checklists>
- British Dyslexia Association. (n.d.). *Secondary School Dyslexia Checklist (EXAMPLE BDA Quality Mark for Schools)*. <https://www.bdadyslexia.org.uk/dyslexia/how-is-dyslexia-diagnosed/dyslexia-checklists>
- Carlson, C. L. (2014). Dropout factories and the vaccination approach: the impact of the dropout rate on the economy and the need for effective literacy instruction. *SRATE Journal*, 23(2), 1–7. <http://files.eric.ed.gov/fulltext/EJ1044755.pdf>
- Center on Crime, Community, and Culture. (1997). *Education as Crime Prevention: Providing Education to Prisoners*.
- Colenbrander, D., Ricketts, J., & Breadmore, H. L. (2018). Early identification of Dyslexia: Understanding the issues. *Language Speech and Hearing Services in Schools*, 49(4), 817–828. [https://doi.org/10.1044/2018\\_lshss-dyslc-18-0007](https://doi.org/10.1044/2018_lshss-dyslc-18-0007)

- Daniel, S. S., Walsh, A. K., Goldston, D. B., Arnold, E. M., Reboussin, B. A., & Wood, F. B. (2006). Suicidality, school dropout, and reading problems among adolescents. *Journal of Learning Disabilities*, 39(6), 507–514. <https://doi.org/10.1177/00222194060390060301>
- Dyslexia Scotland. (2019). *Pupil Checklist for Dyslexia*. live.com. <https://Parental-Dyslexia-Checklist-2019.docx>
- Eden, G. F., Olulade, O. A., Evans, T. M., Krafnick, A. J., & Alkire, D. R. (2016). Developmental dyslexia. In *Elsevier eBooks* (pp. 815–826). <https://doi.org/10.1016/b978-0-12-407794-2.00065-1>
- Foundation Stage Dyslexia Checklist*. (n.d.). [bdadyslexia.org.uk](http://bdadyslexia.org.uk). <https://www.bdadyslexia.org.uk/dyslexia/how-is-dyslexia-diagnosed/dyslexia-checklists>
- Franklin, E. (2022). Universal Screening: K–2 Reading – International Dyslexia Association. International Dyslexia Association. <https://dyslexiaida.org/universal-screening-k-2-reading-2/>
- Hall, S. L., & Louisa Cook Moats. (1999). *Straight talk about reading: how parents can make a difference during the early years*. Contemporary Books.
- Lerner, J. W. (1981). *Learning Disabilities: Theories, diagnosis, and teaching Strategies*. <http://ci.nii.ac.jp/ncid/BA10516105>
- Mathes, P. G., Denton, C. A., Fletcher, J. M., Anthony, J. L., Francis, D. J., & Schatschneider, C. (2005). The effects of theoretically different instruction and student characteristics on the skills of struggling readers. *Reading Research Quarterly*, 40(2), 148–182. <https://doi.org/10.1598/rrq.40.2.2>
- Minnesota Department of Education. (n.d.). *Teacher Checklist for Characteristics of Dyslexia*. [https://education.mn.gov/mdeprod/idcplg?IdcService=GET\\_FILE&Rendition=primary&RevisionSelectionMethod=latestReleased&dDocName=MDE086824](https://education.mn.gov/mdeprod/idcplg?IdcService=GET_FILE&Rendition=primary&RevisionSelectionMethod=latestReleased&dDocName=MDE086824)
- Nelson, N. (2016). *10 things about dyslexia Every teacher needs to know*. We Are Teachers. <https://www.weareteachers.com/things-about-dyslexia-every-teacher-needs/>
- Sousa, D. A. (2004). *How the Brain Learns to Read*. <http://ci.nii.ac.jp/ncid/BB16867176>
- Tamboer, P., & Vorst, H. C. M. (2015). A New Self-Report Inventory of Dyslexia for Students: Criterion and Construct Validity. *Dyslexia*, 21(1), 1–34. <https://doi.org/10.1002/dys.1492>
- Texas Scottish Rite Hospital for Children. (2011). *Teacher Observation Questionnaire for Dyslexia*. [knoxschools.org](http://knoxschools.org).
- Torgesen J. K., Wagner R. K., Rashotte C. A. (1999). *Test of Word Reading Efficiency–Second Edition*. Austin, TX: Pro-Ed.
- Tymms, P., Merrell, C., & Bailey, K. (2017). The long-term impact of effective teaching. *School Effectiveness and School Improvement*, 29(2), 242–261. <https://doi.org/10.1080/09243453.2017.1404478>
- Universally speaking 5-11*. (n.d.). [oxfordshire.gov.uk](http://oxfordshire.gov.uk).
- Wanzek, J., & Vaughn, S. (2007). *Research-Based implications from extensive early reading interventions*. <https://www.semanticscholar.org/paper/Research-Based-Implications-From-Extensive-Early-Wanzek-Vaughn/b7ae70e6fbd50ac9227075f6a9222410adcdf9ba>

კითხვის სირთულის პედაგოგიური შეფასების მაჩვენებლების კვლევა დისლექსიის მქონე...

- Woodcock, L. V. (2008). Developments in the non-newtonian rheology of glass forming systems. In *Springer eBooks* (pp. 113–124). [https://doi.org/10.1007/3-540-17801-5\\_7](https://doi.org/10.1007/3-540-17801-5_7)
- Wilkinson, G. S., & Robertson, G. J. (2006). Wide Range Achievement Test 4 (WRAT4). In *PsycTESTS Dataset*. <https://doi.org/10.1037/t27160-000>
- World Health Organization (2019). *International Statistical Classification of Diseases and Related Health Problems (11th ed.)*. <https://icd.who.int/>
- Yang, L., Li, C., Li, X., Zhai, M., An, Q., Zhang, Y., Zhao, J., & Weng, X. (2022). Prevalence of Developmental Dyslexia in Primary School Children: A Systematic Review and Meta-Analysis. *Brain Sciences*, 12(2), 240. <https://doi.org/10.3390/brainsci12020240>
- გაგოშიძე, თ. (2007). ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები.
- ისაკაძე, თ., & ლომიძე, ნ. (2020). განმავითარებელი აქტივობების კრებული.
- შაშვიაშვილი, მ. (2024). კითხვის უნარის განვითარების სტრატეგიები კითხვის სირთულის მქონე დანყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის. დისერტაცია.